დანართი №1

2016 წლის 09 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მ.შ.№18-16 ხელშეკრულებაზე (CMR 160193058)

თბილისი 27.01.2017წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **იოსებ ოზაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების – საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის, ფინანსების მართვის სამსახურის, საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურისა და საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის 2017 წლის 24 იანვრის №471-2 ერთობლივი მოხსენებითი ბარათისა და 2016 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მ.შ.№18-16 ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2016 წლის 09 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მ.შ.№18-16 ხელშეკრულების (N6 (მოიცავს ყოფილ N7 ზონას) ზონაში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება):

ა) მე-4 მუხლის 4.4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4.4 ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი - საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახური, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასა და ხარისხს;“

ბ) მე-13 მუხლის 13.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„13.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის, კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების, ვადების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი - საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახური;“

გ) მე-13 მუხლის 13.4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„13.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი ევალება შემსყიდველის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი - ფინანსების მართვის სამსახური.“

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

2. ამ დანართით განსაზღვრული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია შემსყიდველის ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თავმჯდომარის მოადგილის	**შპს „სახელმწიფო სამშენელო კომპანია“**
მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
ალექსანდრე თევდორაძე	**იოსებ ოზაშვილი**